ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
გერგეთის ქუჩა №3



თბილისი
2017, ივლისი

გერგეთის შესახვევი თბილისის ცენტრალურ ნაწილში მთაწმინდის ფერდზე მდებარეობს და ისტორიული სოლოლაკის ფარგლებშია მოქცეული. ეს მონაკვეთი უკანასკნელ დროს განვითარდა გერგეთის შესახვევის სახით ყოფილი ბაღის, უფრო ადრე კათოლიკეთა სასაფლაოს ტერიტორიაზე.

ჭონქაძის და გერგეთის ქუჩების ეს მონაკვეთი მხოლოდ საბჭოთა პერიოდის დროს განაშენიანდა ინტენსიურად, რადგანაც აქაც ბაღის ნაწილი ჩამოდიოდა. სწორედ ამიტომ აქ არსებული შენობების ირგვლივ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ვრცელი, გამწვანებული მონაკვეთები.



სოლოლაკში ურბანული განაშენიანება XIX საუკუნის შუა ხანებიდან განვითრდა. მანამდე აქ სანახები და ბაღები იყო გაშენებული, რასაც ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის რუკაც ადასტურებს, რომელზეც ამ ადგილებში მეფის, დედოფლის, მამასახლისის, თბილელის ბაღებია აღნიშნული. გადმოცემის თანახმად არაბების ბატონობის ხანაში ბაღების მოსარწყავად აქ აკვედუკი აუშენებიათ. სარწყავ არხს არაბულად „სულუ-ლაჰ“ ქვია. როგორც ჩანს, ამ დასახელებიდან მომდინარეობს მთის (სოლოლაკის ქედი) და მის ძირში გაშლილი ტერიტორიის სახელწოდებაც – სოლოლაკი, ან სალალაკი.

XIX ს-ის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში სოლოლაკში ძირითადად ბურჟუაზიული საზოგადოება სახლობდა. ამან განაპირობა უბნის არქიტექტურული სახეც. მისთვის დამახასიათებელია მსხვილმასშტაბიანი, ძირითადად ამპირული სტილის შენობები, რომელთაც ევროპული სტილის „თბილისურად“ გადამუშავებული ნაგბობები და ტიპიურად თბილისური სახლები ენაცვლება.



ერთი მხრიდან, გერგეთის ქუჩას ჭონქაძის ქუჩა ესაზღვრება. ჭონქაძის, ყოფ. გუდოვიჩის ქუჩა XIX ს-ის II ნახევარში ჩამოყალიბდა და მასზე არსებული არქიტექტურული განაშენიანება ძირითადად არ შეცვლილა XX საუკუნის მიწურულამდე. სამწუხაროდ, ამ პერიოდის ნაგებობები უმეტესად არ შეესაბამება ქუჩის არქიტექტურული ძეგლების მაღალმხატვრულ ღირებულებას. ამდენად, ნებისმიერი ძეგლის შენარჩუნების პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქის ამ მიკროუბანში.

აქ ძეგლის და ძეგლის ნიშნის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობებია: №3, №4, №5, №6, №8, №10, №11, №12, №13, №14, №15, №17. მათ შორის ცნობილი კომერსანტის ბოზანჯიანცის კუთვნილი მოდერნის ტიპის სახლი ჭონქაძის №12, რომელიც ამ ქუჩის სხვა ნაგებობებთან ერთად ისტორიული ძეგლის სტატუსს ატარებს და განსაკუთრებული არქიტექტურული ღირებულებით გამოირჩევა. ჭონქაძის ქუჩის განაშენიანება ძირითადად მსხვილმასშტაბიანია, ოთხი-ხუთი სართული. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია თბილისის ამ ურბანული მონაკვეთისთვის ქუჩის მრუდხაზოვნებას მორგებული არქიტექტურული განაშენიანების სპეციფიკა.

მეორე მხრიდან აღნიშნულ მონაკვეთს გერგეთის ქუჩა აკრავს, რომელიც ასევე უკანასკნელ პერიოდში მსხვილმაშტაბიანი არქიტექტურული პროექტების ასპარეზად იქცა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ახალმშენებლობების მასშტაბი ისტორიული ქალაქის შორი ხედებისათვის, რადგანაც ლანდშაფტის ზონაში შეჭრილი მოცულობები მკვეთრად ჩნდება გამწვანებული სოლოლაკის ქედის ფონზე.



გერგეთის ქუჩა №3 საბჭოთა პერიოდის არქიტექტურის ნიმუშია, რომელსაც ე.წ. „სტალინური“ ეპოქისთვის დამახასიათებელი მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტა ახასიათებს. შენობა მნიშვნელოვნად არის შეწეული განაშენიანების წითელი ხაზიდან და მის წინ ვრცელი კურდონერი იქმნება.



ნაგებობა ორსართულიანია, გვერდით ნაწილებზე ოთხკუთხა რიზალიტებით აქცენტირებული. შენობის საფასადე კომპოზიცია მეტად კურორტებისათვის დამახასიათებელი ელემენტებით – ღია, სვეტებიანი გალერეებით ხასიათდება.





შენობა ფრაგმენტულად აღიქმება გერგეთის ქუჩის ვიწრო მონაკვეთის მხრიდან. მის ირგვლივ ნაწილობრივ არის შემორჩენილი ისტორიული განაშენიანება, ძირითადად ფონური ნიშნის მქონე ნაგებობები. შენობის უშუალო სიახლოვეს და მის უკან, გვიანი საბჭოთა პერიოდისა და მომდევნო წლების დროინდელი ოთხ, ხუთ და მეტსართულიანი კორპუსები დგას.





საარქივო ფოტომასალიდან ირკვევა, რომ განაშენიანების ამ მონაკვეთში დაახლოებით იგივე გაბარიტის შენობა იდგა, რომელიც ლანდშაფტურ ზოლს ესაზღვრებოდა და სავარაუდოდ, ცალ მხარეზე ორფერდა გადახურვა ჰქონდა. ამასთან, ამ შენობის მიმდებარე ნაგებობას აშკარად ბრტყელი გადახურვა აქვს. ეს თავისებურება გამოარჩევს ამ შენობებს ირგვლივ არსებული სოლოლაკური შენობებისგან, რომლებსაც უმეტესად დაფერდებული, ან სრულიადაც გუმბათური ან კოშკის ტიპის სახურავები აქვთ.



რეკომენდაციები

გერგეთის ქუჩა №3 ნაგებობის ჩანაცვლება თანამედროვე, ხარისხიანი არქიტექტურით შესაძლებლად მიმაჩნია, რადგანაც მიკროუბნის ქსოვილში ის არ წარმოადგენს განსაკუთრებულ, აუთენტურ ღირებულებას და არა აქვს მინიჭებული ძეგლის სტატუსი. ამასთან ორსართულიანი, წითელი ხაზიდან შეწეული შენობის ჩანაცვლება სასურველია ირგვლივ განაშენიანების მასშტაბთან შესაფერისი მოცულობით და გეგმარებითი მახასიათებლის შენარჩუნებით. კერძოდ:

- ახალი მოცულობა სასურველია განთავსდეს არსებული შენობის მსგავსად ნაკვეთის სიღრმეში იმისთვის, რომ შენარჩუნდეს გერგეთის ქუჩის ამ ვიწრო ნაწილის განაშენიანების აღქმის არსებული სიტუაცია;
- შენობის იერსახე სასურველია მიესადაგოს სოლოლაკის ამ მიკროუბნის განაშენიანების ხასიათს, იყოს სადა, მინიმალისტური ხერხებით გადაწყვეტილი;
- სახურავის ფორმა სასურველია იყოს დაფერდებული, რათა ორგანულად ჩაეწეროს ამ ღირებული მიკროუბნის მეხუთე ფასადში.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ადრონიკაშვილი